ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის ბიუროს

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 27 მაისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 13

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

27 მაისი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა ცდა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,
პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,
იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე,
აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ მოძრაობა ხარაგაულისათვის" თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი-ფრაქცია „ ქართული ოცნება - კონსერვატორები" - ს" თავმჯდომარე.

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე
შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე (სათათბირო ხმის უფლებით)

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მერიის წარმომადგენელი:

ირინე ჩხეიძე - მერიის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგზრდობის საქმეთა სამსხურის უფროსი,

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“ - ს ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ირინე ჩხეიძე

2.თბილისი - სენაკი - ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის E-60 ავტომაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის (ლოტი-F1) და ხევი უბისის (ლოტი-F2) მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე - 1042 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.31.013), 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულ;ების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.34.026), 26 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.05.31.940),
სოფელ ბორითში მდებარე 373 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.03.40.610) და სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(ს/კ36.03.35.117) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

ინფორმაცია
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის გზების კაპიტალური მშენებლობის ხარჯების საქართველოს მთავრობის N 2685 განკარგულებით შემცირებისა და გზების მიმდინარე ხარჯებში კვარტლებს შორის ცვლილების შესახებ
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 20 მაისის N 49 -658 ბრძანების გაცნობის თაობაზე

მომხს: პავლე კიკალიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და

საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის **კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის ი. ჩხეიძის ანგარიში** მერიის **კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგზრდობის საქმეთა სამსახურის** მიერ **გაწეული მუშაობის შესახებ**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას (კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე)

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მ. ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - თბილისი - სენაკი - ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის E-60 ავტომაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის (ლოტი-F1) და ხევი უბისის (ლოტი-F2) მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე : 1042 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.31.013), 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულ;ების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.34.026), 26 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.05.31.940),
სოფელ ბორითში მდებარე 373 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.03.40.610) და სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(ს/კ36.03.35.117) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ , რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოთხოვნის საჭიროებების განმარტების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტს იჯარით მიცემული აქვს ჩინურ კომპანიას, რომელიც გვიხდის თანხას, თუ ამ მიწაზე არ ხდება, რაიმე

სამშენებლო ობიექტის გაკეთება და უბრალოდ გამოყენებული იქნება საქმიან ეზოდ, ისე, როგორც ახლა არის, დარჩეს მუნიციპალიტეტს და შემოსავალი შემოვიდეს ჩვენს ბიუჯეტში

მ. ალავიძემ - მომხსენებელმა განმარტა, ჩინურ კომპანიასთან ხელშეკრულება გაუქმდა მერიის მიერ, სააგენტოს წერილის მიხედვით სახელმწიფოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი ესაჭიროება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად, ალბათ მიაქირავებენ კომპანიას,

გ. თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება მიწის გადაცემას, პროექტი გაკეთებულია, რაშიც გადახდილია თანხა, პროექტს უნდა გაევლო ისე, რომ დამატებით აღარ უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთების მოთხოვნა. კომისიამ მერიასთან ერთად სხდომის ჩატარებამდე უნდა გაარკვიოს საჭიროება, რამდენად დასაბუთებულია.

ი. მაღრაძე დაეთანხმა კოლეგების მოთხოვნას და აღნიშნა, რომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ დაზუსტებით, საჭიროება რამდენად დასაბუთებული იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში

2. დაევალოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე) შეისწავლოს საკითხი ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსთან ჩართულობით და წარმოადგინოს დასკვნა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. 1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის **კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგზრდობის საქმეთა** სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: ირინე ჩხეიძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **2** სექტემბრის **N31** დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე,

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **14** ივლისის **N19** დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. თბილისი - სენაკი - ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის E-60 ავტომაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის (ლოტი-F1) და ხევი უბისის (ლოტი-F2) მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე - 1042 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.31.013), 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულ;ების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.05.34.026), 26 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.05.31.940),

სოფელ ბორითში მდებარე 373 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.03.40.610) და სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის(ს/კ36.03.35.117)
სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

ინფორმაცია
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის გზების კაპიტალური მშენებლობის ხარჯების საქართველოს მთავრობის N 2685 განკარგულებით შემცირებისა და გზების მიმდინარე ხარჯებში კვარტლებს შორის ცვლილების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 20 მაისის N 49 -658 ბრძანების გაცნობის თაობაზე

მომხს: პავლე კიკალიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე